ხანდაზმულებში სმენის დაქვეითებაზე სკრინინგი

პროტოკოლი №2

მიზანი: ხანდაზმულებში სმენის დაქვეითების შემთხვევების დროული იდენტიფიცირება.

რესურსი:

პრაქტიკის ექთანი;
უბნის ექთანი;
ოჯახის/უბნის ექიმი.

მატერიალური:

1. ხანდაზმულთა ფუნქციონალური მდგომარეობის შეფასების ბარათი;
2. პატარა ზომის მექანიკური საათი.

ორგანიზაციული ასპექტები:

1. სმენის დაქვეითებაზე სკრინინგი განიხილება, როგორც ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის კომპონენტი;
2. სმენის დაქვეითებაზე სკრინინგს ატარებს:
   ა) ზოგადი პრაქტიკის ექთანი სამ წელიწადში ერთხელ 65 წლის ზემოთ ასაკისა და წელიწადში ერთხელ 75 წლის ზემოთ ასაკის პირებში, ვინც მომართავს დაწესებულებას რეგულარული სამედიცინო შემოწმებისათვის;
   ბ) უბნის ექთანი ლოგინს მიჯაჭვულ პაციენტებში, ვისთვისაც ამბულატორიული ვიზიტის შესრულება შეუძლებელია.
3. სკრინინგის შედეგებს ექთანი აფიქსირებს ხანდაზმულთა სამედიცინო მეთალყურეობის ბარათის სათანადო გრაფაში.

პროცესი:

სმენის შეფასებისათვის რეკომენდებულია შემდეგი ტესტები:

1. ჩურჩულით სმენის შეფასების ტესტი

ინსტრუქცია:

დადექით პაციენტისაგან 30-60 სმ-ის მანძილზე. სთხოვეთ მას, ხელით დაიფაროს მეორე ყური. ამოისუნთქეთ და შემდეგ დაიჩურჩულეთ ძალიან ხმადაბლა. გაზარდეთ ხმის სიძლიერე მანამ, სანამ პაციენტი სწორად არ გაიმეორებს ნათქვამი სიტყვების, სულ მცირე, 50%-ს. გამოიყენეთ როგორც ერთ, ისე ორმარცვლიანი სიტყვები. გაიმეორეთ მეორე ყურზე.

ნორმა	გადახრა ნორმიდან
შეუძლია ნაზი ჩურჩულის გაგონება 30-დან 60-სმ მანძილზე. თანაბრად ორივე მხარეს.	**აღინიშნება ცალმხრივი რეაქცია ან არათანაბარი ორმხრივი რეაქცია.** **სიტყვებს გამეორება ხმის აწევამდე შეუძლებელია.**

საათის წიკწიკის ტესტი

ინსტრუქცია: მოათავსეთ მოწიკწიკე საათი ყურიდან 2-5 სმ-ში. დაუფარეთ პაციენტს მეორე ყური. გაიმეორეთ მეორე მხარეს.

ნორმა	გადახრა ნორმიდან
2–5სმ–ში შეუძლია წიკწიკის გაგონება.	მაღალი ხარისხის სმენაჩლუნგობისას პაციენტს არ ესმის წიკწიკი.

თუკი დადგინდება სმენის დაქვეითება, საჭიროა პაციენტის მიმართვა ოჯახის/უბნის ექიმთან, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო მოქმედების გეგმას (იხ. სენსორული დისფუნქციის მართვის გაიდლაინი).

გამოსავალი:

1. ექთანმა გამოავლინა სმენის დაქვეითების X შემთხვევა (ამბულატორიულად/ბინაზე);
2. ექთანმა სმენის დაქვეითების გამო ოჯახის ექიმთან/ან პირველადი ჯანდაცვის დონის დაწესებულების ოტოლარინგოლოგთან გაგზავნა X პაციენტი;
3. შემდგომი გამოკვლევებისათვის გაგზავნილი პაციენტების რაოდენობა.